


ნან. მ. აბაშიძის



— ხურდა!.. ხურდა აიღეთ-მეთქი!  
— არ ავიღებ! ჯერ გადამაჩვიეთ და ახლა ხელახლა გინდათ  
დამაჩვიოთ?!



# აბაშიძე



— გვერდიდან შემოუარეთ, გვერდიდან!  
— მე კი მიტხრას თქვენზე, რომ პირდაპირი კაციყო.

## აბაშიძე

აბაშიძე კი მქვია, მაგრამ არვის ვეგონო მე გერი, ჩემი ქვეყნის ნაღდი შვილი ვარ, თანაც მეცნიერი. მას შემდეგ, რაც უიღბლო ნადირობის დროს საკუთარი ძალი შემომაკვდა, მელანქოლიამ დამრია ხელი და, გული რომ რამეზე გადამეყოლებინა, ფოტომონადირეობა დავიწყე. პირველად ძალიან მომეწონა: დაუცემინებ ჩანჩახს და ნებისმიერ მანძილზე მყოფი ნადირი აკაეს ობიექტივში, მერე გამზადებ სურათს და შენ წინ ცოცხალივით დგას შველი ან ირემი... მაგრამ რად გინდა? — ვერც მოწველი და ვერც სამწვადეს აპირი. გული ამიცრუვდა. ავდექი და ნაკრძალში მოვეწყვე სამუშაოდ. რაკი მეცნიერი მუშაის ადგილი არ ჰქონდათ, ეგერად გამაფორმეს. პირველი მეცნიერული ცდა ფუტკრებზე დავაყენე, ერთ დიდ ხეს ტკბილი წებო გადავასხი და მერე ზედ დაკრობილი ფუტკრებით ანორხლილი ტოტი სახლში წავიღე...

მერე ნაკრძალში მომრავლებულ ძაღლებს დავერიე. რაკი ხშირად იყენებოდნენ და მეცნიერულ მუშაობაში ხელს მიშლიდნენ, ავდექი და ლურსმანგარკობილი პურის ნატეხები ჩამოფერიე. მას შემდეგ მათი ყეფა აღარ გამიგონია.

ციცერონის გამოგონილი კრახალი კურდღლების კვების რაციონში შევიტანე, ისე დავასუქე, რომ სიარულისას ფეხები უკან რჩებოდათ (მდელოზე ეწეებოდით), მე ვიჭერდი და სახლში მიმყავდა ანალიზების ასაღებად.

უკანასკნელ ხანს დავადასტურე ჩემი გამოჩენილი მეცნიერების აზრი ნიკოტინის მავნებლობის შესახებ; შველებს ბურნუთი შევყარე და დავინახე, როგორ ახლიდნენ თავს კლდეზე ატეხილი ცხვირის ცემინებისაგან და როგორ იხტებოდნენ. მოკვლეული მოკვლეული მასალა სახლში მიმქონდა ლაბორატორიულ-კულინარული ეკლავისათვის.

ვინ იცის, როდემდე გაგრძელდებოდა ეს ჩემი ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობა, რომ ტყის მავნე ელემენტებს (უფრო მგლებზე მაქვს ექვი) პროვოკაცია არ მოეწყობათ ჩემთვის.

ზედ ჩემი სამეცნიერო ქოხის წინ მდებოდა ბალახეულობას ციცირონის კრახალის მაგიერ ვიღაცა სულკატიანმა სილიკატის წებო გადაასხა.

დილაღრიან ნაკრძალის ხელმძღვანელები უჩვეულო სურათს წააწყდნენ: ჩემი ქოხის წინ უძრავად იჯდა ასობით კურდღელი. აბა, რას მიხედებოდნენ, რომ ისინი წებოთი იყვნენ დაკრული მდელოზე.

უფროსებს ეგონათ, რომ კურდღლებმა ჩემი მეცნიერული მუშაობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ჯდომელა გაფიცვა მოაწყვეს. გაფიცულები წყლის შლანგით დაშალეს და მერე მე მომდგნენ.

მართალია, ეუკუს ამოკვრა კანონით აკრძალულია, მაგრამ სწორედ ამ აკრძალული ილეთით გამომბრძანეს სახელმწიფო ნაკრძალიდან.

ბევრი ჩემისთანა კი აქ დატოვეს.

როს კვდებოდა მათეს მამა, ახი წლისაც არ იყო; გულკეთილმა მისმა რძალმა მოწყალება გაიღო:

შეუცვალა ქვეშაგები, გაურცხა ზეწარი... სულ გაკვირდნენ მეზობლები — „რძალი მართლაც ეს არი!“

თანაც მაჩვის ყელის ბეწვის წააფრა საბანი, თავთ დაუღლო ძველი პეწის ყურთბალიში მალდა.

მომაკვდავი ალისტრახო სიხარულით გაოგნდა, თან შვილებმაც ერთად ნახეს, თან ცოლებიც ჩამოჰყავთ.

მამა თითქმის არ სუნთქავდა, იწვა გაუნძრეველი და შვილები სასთუმალთან იდგნენ ღამის მთვევლნი.

მომაკვდავმა, თვალბლიამ კედლის საათს გახედა, თავიც იქით გაიქნია და პირს ოდნავ აღებდა...

რძალი უცებ, როგორც ძერა, — რომ ყველასთვის მოესწრო, — კედლის საათს დაეძგრა, ამას ჩვენ გვიტოვებსო!

მეორე შვილს მამა უმზერს, თითქოს, რაღაც დაჰპირდა... მისმა ცოლმაც სარკე უცებ გაიტანა სახლიდან!

მესამე შვილს ალისტრახომ გაუწოდა მარჯვენა, თან ხალიჩას ხელი ახლო, თითქოს მისთვის არჩევა.

მისმა ცოლმაც ის ხალიჩა და სადაფის გიტარა წამს კედლიდან ჩამოშლია და გარეთ გაიტანა!

მომაკვდავი სიმწრის ოფლით წერდა თავის განაჩენს... მეოთხე შვილს მამამ ოხვრით მიანიშნა სავარძელს.

მისმა ცოლმაც ხელი მრუდედ სკამს დაავლო... შერი, შა! — მტუტველება დაუბრუნდა დამუნჯებულ ბერიკაცს:

„აქ მომართვით ყალიონი, ნაკვერჩხალი საკეცით! გადავიდა ალიონი, უნდა ვითხრათ ანდერძი:“

სარკე თავის ადგილს დადგით და ის სკამი სავარძლის! უკვე დროა, უნდა ავდგე, წვერი მაქვს გასაპარსი!

ყველაფერი ზღაპარ იყო, არ მოვკვდები ძალათი! იქ დაჰკიდეთ, სადაც იყო, ჩემი კედლის საათი!

ის ნოხი კი მზითვში მოჰყვა განსვენებულ მეუღლეს. ამინდია კარგი, ჰოდა, ბერტყუთ, გაამზურეთ!

ლხინის სუფრა, მუხის ჩრდილი, ისევ მომცემს მხნეობას.

საქელფხო პურ-მარილით გაღმინადეთ დღეობა!

ისევ სუქეთ სადღეგრძელო, ააუღერეთ გიტარა, ჩემმა რძლებმა დაამდგრონ: „სიძემ რა მოგიტანა?!“

ნახ. 8. შირცხულავასი



78

— ნუმიხვამი ყოფილხარ, ბიძიო! ქალკლდის ფულმებს არ აბროვებ?!  
— ქალკლდის ფულმებს მამაჩემი აბროვებს.



— ასე რამ დაამლაშა ეს თევზი?  
— მარკილუბის დაბროვება აქვს, გატონო!

### ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

**შეკითხვა:** ვმუშაობდი სასაბუღალტრო მეორე ტრესტის პირველი მაისის რაიონულ გაერთიანება №44-ის საჩაიეში მუშაობდით. მომხმარებლებს მივუტანე 800 გრ. სოსისი და 450 გრ. პური. ანგარიშის გასწორების დროს მათ მომაცუყუეს, შეცდომაში შემიყვანეს და 1 მან. და 45 კაპ. ზედმეტი გადამიხადეს. შემოდგინეს აქტი და პასუხისგებაშიც კი მიმცეს. პირველი მაისის რაიონის სასამართლომ ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მომისაჯა. ესეც არ მაკმარეს და სამი წლით ამიკრძალეს ვაჭრობის სისტემაში მუშაობა. საქალაქო სასამართლომ თავისუფლების აღკვეთა შემიცვალა შრომა-გამასწორებელი მუშაობით იმავე ვადით. სასჯელის მოსახდელად მაგზავნიან ისეთ სამუშაოზე, რო-

მელიც მე არ მაწყობს და ჩემს სპეციალობას არ შეეფერება. გთხოვთ მიპასუხოთ: შემიძლია თუ არა იძულებითი მუშაობა მოვიხადო რომელიმე სასაბუღალტრო ბუფეტში, ჩემი მოწოდებისა და პროფილის მიხედვით?

ალიხან ალიბაი

**პასუხი:** დაკისრებული სასჯელის მოხდა შეიძლება თქვენი გაგზავნით უფრო დიდ ობიექტზე. კარგი იქნება, პირველი კლასის რესტორანში დაგნიშნონ მუშაობაზე ან ოფიციალურად და იქ იმუშაოთ ისე, რომ არავინ შეგიყვანოთ შეცდომაში ზედმეტის გადახდით. ეცადეთ, თქვენ თვითონ გადაახდევინოთ ზედმეტი! ასე მოხდით სასჯელს და უფლებასაც მოიპოვებთ, განაგრძოთ მუშაობა სავაჭრო სისტემაში, თქვენი პროფილისა და მოწოდების მიხედვით!

**შეკითხვა:** გავცილდი ცოლს, შვიტოვე ოჯახი 4 მცირე-წლოვანი ბავშვით. იმის გამო, რომ შვილებს ყურადღებას არ ვაქცევდი, მეუღლემ მიჩივლა სასამართლოში. სასამართლომ დამაკისრა ალიმენტის გადახდა ხელფასიდან ყოველთვიურად 50 %-ის რაოდენობით.

მართალია, ამჟამად ვმუშაობ, მაგრამ ჩემი საყვარელი შვილები სკოლა-ინტერნატში მიუბარებიათ და სახელმწიფო ხარჯზე იზრდებიან. მე კი კვლავ მედავებიან, ალიმენტის ურჩ გადახდელს მეძახიან.

გთხოვთ მიპასუხოთ: მეკუთვნის თუ არა ალიმენტის გადახდისაგან გათავისუფლება?

ბრატვი შალვას ძე პარსანიძე, ქ. მახარაძე.

**პასუხი:** უნდა მოხთხოვთ სკოლა-ინტერნატის დირექციას, თქვენს შვილებთან ერთად, თქვენი აღზრდა-შენახვაც. მაშინ ალიმენტი ავტომატურად მოგეხსნებათ!

კითხვა-პასუხი ჩაიწერა მ. ხმალაძემ

### წოდარ შამანაძე

## ეპიტაფიები

**ეპიტაფია** მიცვალებულთა, მოსაგონარი ლექსია, საფლავის ქვაზე იწერება. ზოგჯერ ცოცხალთა მოსაგონარიცა და ციხის კედელზე წასაწერადაც გამოიხატება.

### ბრატონიერის ეპიტაფია

მგლის კუჭი მქონდა, მგლის მადა, ვერა ვძღებოდი ვერასგზით, მგლის მქონდა მუხლიც, გულიცა, ეშმაკობა კი — მელასი. დავჭროდი, დავნავარდობდი ჩანჩაქმეშართულ ბერდანი, მცვრიანი შწვადის გულითვის გაუბედავსაც ვბედავდი. ჩემგან დამფრთხალი ირემი დათვს შველას ევედრებოდა, დაობლებული შველის ნუკრი მდღულარე ცრემლად დნებოდა, მისი ცრემლი და წუხილი, აბა, რა მენადვლებოდა?! ტვირთმძიმედ მივიჩქაროდი ნადირთა საშფლობელოდან, სუკებს ნაჩვევი ოჯახი ხანადაფრენით მელოდა. ლალი ცხოვრების ტრფიალებს და ღიზის თანაზიარებს, ხორცი რომ მოგვწყინდებოდა, მივაშურებდი მდინარეს. წყალს დავახლიდი დინამიტს, თევზს რიუესავით დავყრიდი, შინ ხომ ბევრს შევექცეოდით, ბევრს მამახისხლად გავყრიდი. მაგრამ, ვაიმე, ჩავვარდი! — დამწარდა ტკბილი სადილი!.. ისე ვარ გამომწყვდეული, ვით ზოპარკის ნადირი!



— გიჟო, ნახარამეიავ, სად იშობე ეს ყველი, ადენი ყყალი რომ გამოადინე?!  
— გასტრონომში!



**კუნძუალური ჟირის  
კუნძუალური ჟირილი  
არაკუნძუალური ცოლისადმი**

სატრფოს წერილებს რომ გწერდი,  
ვსვამდი იმედის ორწერტილს!

ეპითეტებით დაღლილი —  
ნიშნებს ვხმარობდი ძახილის!

უშენოდ ვერ ვიძინებდი,  
ვწვალობდი წერტილ-მძიმეთი!

დაგნიშნე — „ვინ გყავს ბიძები?“ —  
ამავსე კითხვის ნიშნებით!

ცოლად დაგისვი, — დამისვი  
ნიშანი კითხვა-ძახილის!

მას უემდეგ გყავარ ბრჭყალებში —  
მოტეხილი და დაღლილი!..

და, აკრძალული იღეთით,  
მრავალჯერ ჩამსვი ფრჩხილებშიც!

შინ თუ არ მოშაქვს ზორაგი, —  
მელის ფრჩხილები ორმაგი!..

სახლში ხარ თავაწყვეტილი  
და... კმარა!.. მრავალწერტილი!..

შენ მძიმე ხასიათი გაქვს,  
ლანძღვა-გინებით მამძიმებ!  
ნერვების დასაწყნარებელს  
ვსვამ წამლებსა და ვსვამ... მძიმეს!..

ასე მაქვს გადაწყვეტილი:  
უნდა დაგისვა წერტილი!

ნუ გაქვს დეფისის იმედი! —  
ცოლო, გცილდები ტირეთი!

შენს შემხედვარეს, დღეიდან,  
საერთოდ არ მსურს ქალი მე!  
სამივე შვილი მე მიმყავს,  
შენ გაძღვევ ბინას, ალიმენტს!..


აწი ნიშნები სახვენი  
არც ჩემი არის, არც შენი!

**წერილი იოვია ბათუ მელიამ**

ნახ. ჯ. ლოლუასი



უსიტყვოდ



უსიტყვოდ


ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ნახ. ბ. წულაძისა



— ხელავ? ჰერ არ გაზრდილა და ახლავე გაქცევას აპირებს!

ნახ. ბ. მარაძისა



უსიტყვოდ

ნახ. ზ. კუციასი



უსიტყვოდ

ერთხელ ერთმა ფრანგმა ტაქსის მძღოლმა ასეთი ოინი მოუწყო კონან დოილს: სახელგანთქმული მწერალი პარიზს ეწვია და სადგურიდან სასტუმროში მიემგზავრებოდა. ფულის გადახდის შემდეგ, ტაქსის მძღოლმა მადლობა გადაუხადა:

— დიდად გმადლობთ, მისტერ კონან დოილ!

— კი მაგრამ, თქვენ საიდან იცით ჩემი სახელი? — გაუკვირდა მწერალს.

— საქმე იმაშია, სერ, რომ გაზეთში შემთხვევით წავაწყდი ცნობას თქვენი ჩამოსვლის შესახებ სამხრეთ საფრანგეთიდან პარიზში, თქვენი გარეგნობა მეტყველებს იმაზე, რომ ინგლისელი ბრძანდებით. თმები გაკრეჭილი გაქვთ სამხრეთელი დალაქის

მიერ, ყველაფერი ეს ერთმანეთთან დაგაკავშირე და მივხვდი, რომ ეს თქვენ უნდა ყოფილიყავით.

— საოცარია! შესანიშნავია! — წამოიძახა მწერალმა. — კიდევ რაიმე ფაქტები ხომ არ გაქვთ?

— კი, სერ, სხვა ფაქტიც მაქვს. თქვენს ბარგს აწერია თქვენი გვარი და სახელი.

— რა სახელგანთქმული იქნებოდა შექსპირი, ახლა ცოცხალი რომ ყოფილიყო!

— აბა, წარმოიდგინე: 300 წელს გადაცილებული ადამიანი რამხელა სენსაციას გამოიწვევდა!

ერთხელ ერთმა ქალმა უსაყვედურა გამოჩენილ ლექსიკოლოგს, დოქტორ ჯონსონს, თუ რატომ შეიტანა მან უწმაწური სიტყვები თავის ლექსიკონში.

— მე ვიცოდი, რომ თქვენ მათ მოძებნიდით, მაღამ! — უპასუხა ჯონსონმა.

სახელგანთქმული ლექსიკოლოგი ჯონსონი ქუჩაში თევზით მოვაჭრე ქალმა გალანძღა. ჯონსონმა გაბრაზებული ტონით მიაყარა ქალს: „შე უმნავ, სახელუმნავ, მიმდებავ, არსებითო სახელო, განსაზღვრებავ, შორისდებულო, ფონეტიკავ!“ და იქამდე მიიყვანა ქალი, რომ სიბრახისაგან კინაღამ გააცოფა.

### კია ნიანგო

ხარბაბოულში თუ ოდესმე ყოფილხარ, ალბათ, გეცოდინება, რომ ამ ათიოდე წლის წინათ რაიონში იყო ფეხბურთის ერთადერთი სტადიონი, რომელზედაც ტარდებოდა ყველა სახის სპორტული და ფიზკულტურული ღონისძიება. მართალია, ჩვენგან, ხარაგოულელი ბავშვებისაგან, შეიძლება ვერ გამოვიდეს პედე, გარინჩა, ეუსებიუ, კრუიფი, შიულერი, კემპესი, მაგრამ ჩვენც გვიყვარს ფეხბურთი და გვინდა ვითამაშოთ, მაგრამ სად? ათი წელია, დაიწყეს სტადიონზე სპორტდარბაზის აშენება და მის დაშთავრებას არ დაადგა საშველი!

კარგ ამინდში სტადიონი „დოსაფის“ სექციებს აქვთ დამოხილი, თან კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის მესვეურებმა აქ სატელეფონო ბოძების „საწყობი“ დაიშკვიდრეს. ხარბენი ბილიკები მოუხრეშავია... ერთი სიტყვით, რაიონს, არამცთუ სოფლებში, ცენტრშიც ერთი ხვირანი სტადიონი არა აქვს.

ჩვენს რესპუბლიკაში ფეხბურთი თანდათან პოპულარული ხდება, ხარაგოულში კი — პირიქით.

რა იქნება, ძია ნიანგო, ერთხელ ჩვენს სტადიონზეც მობრძანდეთ? ხომ შეიძლება, ჩვენს შორისაც აღიზარდოს ერთი მესხი, მეტრეველი, პაიჭაძე, ჭეჭელავა, ეიფიანი?

### გაგონო ნიანგო


გწერთ პატარების მშობლები, იმ პატარებისა, რომლებიც სამყურნალოდ დაგვყავს დიღმის ბაბუშვთა რესპუბლიკურ პოლიკლინიკაში. ამ ობიექტის პირველი და მეორე კორპუსი (ახალშობილთა და პოლიკლინიკისა) კარგა ხანია, ჩადაგა მწყობრში, რაც შეეხება მესამე კორპუსს — ასოციალიან ბავშვთა სტაციონარს, მის მონტაჟს რატომღაც აყოვნებს მე-18 სამშენებლო ტრესტის მე-4 სამმართველო.

ამიტომაც არის, რომ უკვე ამუშავებულ კორპუსებში ჭერაც არაა მოწესრიგებული სატელეფონო კაბელიზაციის მუშაობა, გვიანდება უანგბადის ცენტრალიზებული გაყვანილობის მონტაჟი, მოუწესრიგებელია სახანძრო-სადარაჯო სიგნალიზაცია და სხვა. ამ სისტემების ცენტრი სწორედ სტაციონარის კორპუსშია მოთავსებული და მის დაშთავრებამდე პოლიკლინიკა სრულყოფილად ვერ იმუშავებს.


იქნებ დააჩქარებინო, ბატონო ნიანგო, მე-18 ტრესტის მესვეურებს სტაციონარის მონტაჟი!

ბარათები მიიღეს მ. გველსინაშვა და ვ. ცინცაძე

ნახ. მ. შპილაურისა




სუიტყვოლ



სუიტყვოლ

ნახ. ნ. ქალენასაშვილისა



სუიტყვოლ

### აგვისტო

უმალღესში აბარებენ, ყველგან, ყველგან რიგებია!.. ერთნი ნიშნებს აჯამებენ, მეორენი ქულებს თვლიან!..

ხელში — სია გამომცდელთა სახელ-გვართა, მისამართთა. — შენ მას სთხოვე! — ათხოვენინე! — კი, თუ იმან იწალმართა!

— ოთხი ჰყოფნის? — თქვა ვილაცამ. — ჰყოფნის, თუნდაც სამი იყოს! — და გაისმის კიდით კიდე: — რა მიიღე?! — რა მიიღო?!

ზოგი ნამდვილ ხუთებს იღებს, ზოგს ორები „დაუწერეს“... — ისევ უსამართლობაა, რაღას იტყვი ამის მერე?! —

ეს ნაწყენი მშობელია, ვისაც მხოლოდ შვილის სჯერა, გამომცდელის დიდ სიმართლეს ვერ ირწმუნებს, ვერა, ვერა!

მისთვის მცოდნეს ძალით ჭრიან, რომ ჩარიცხონ ვილაც მისი... — გადაგვარდა, აი, ხალხი! — რა ნაშუსით?! რა სინდისით?! —

და გრძელდება უსასრულოდ ერთის წყევლა, სხვათა ქება, მანამ, სანამ ეს აგვისტო მთლიანად არ ჩათავდება.

ზოთა ხოდაუნელი

7-78

78-444

ნახ. ბ. ლომიძის

საბჭოთა  
ბიზნესი

70187



ასუფთავებს...

მთავარი რედაქტორი ზურაბ გეგაზაშვილი საკადასტრო კოლეგია: ზ. აბულაძე (მთ. რედ. მოადგილე) ზ. კაციავაძე, ჯ. ლომია, ბ. ლომიძე, ნ. მაღალაშვილი (მხატვ. რედ.), ბ. ნიჟარაძე, ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), ბ. შირვალიანი, თ. ზელიძე  
 ● გამომცემი რედაქტორი მ. კახალაშვილი, ● საბჭოთა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კმ ც-ის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 7/VIII-78 წ. ხელმოწერილი დასაბეჭდად 2/VIII-78 წ. ქალაქის ზომა 70x108 1/8 დიზაინერი ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კმ ც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 1958-ზე 08717. ტირ. 146.760. იბილისი, პრ. რუსთაველი № 42. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი «ნიანგი», ● Изда-тельство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии Тбилиси, ул. Ленина № 14.  
 ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციის შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ნახატი თემის ავტორები:  
 მ. აბაშიძე, მ. ანთაძე, ქ.  
 დიმიტრი, მ. კეცელია, მ. უი-  
 ლოვი, მ. შირვალიანი,  
 ა. წულაძე.



საბჭოთა  
 № 444  
 19 76